ნახუცრიშვილი ნინო, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
მოდებაძე ნინო, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სკოლისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის პერსპექტივები

საკვანძო სიტყვები: პროგრამა, სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე, სტუდენტი, უნივერსიტეტი, ურთიერთთანამშრომლობა

განათლების რეფორმების კვალდაკვალ, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში კვლავ რჩება საკითხები, რომლებიც არ კარგავს აქტუალობას და კვლავ საჭიროებს დახვეწა-განვითარებას. ესაა საკითხი სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების შესახებ, რაც რამოდენიმე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ:

- რა ცოდნით მოდის აბიტურიენტი უნივერსიტეტში?
- რა ცოდნასა და კომპეტენციებს ფლობს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული?
- ძირითადად რა სახით ხორციელდება სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა?
- რა პერსპექტივები არსებობს ამ ურთიერთთანამშრომლობის გასაძლიერებლად?

უნივერსიტეტის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრება და მათი აქტიური ჩართულობა სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის პროცესში. ამ წარმატების საფუძველს უპირველესად განაპირობებს ის ფაქტი, რა ცოდნითა და კომპეტენციებით მოდის აბიტურიენტი უნივერსიტეტში, რამდენად მოტივირებულად აკეთებს იგი არჩევანს სპეციალობაზე. ეს საკითხი მით უფრო აქტუალური ხდება, როცა საქმე ეხება რეგულირებადი სპეციალობის, კონკრეტულად კი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბოლო წლებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები, რაც უშუალოდ აისახა პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე. ამის დასტურად შესაძლოა რამოდენიმე ფაქტის აღნიშვნაც. კერძოდ: შემუშავდა ,,მასწავლებლის განათლების“ უმაღლესი განათლების და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები, რომლის საფუძველზეც მომზადდა და ამუშავდა სრულიად ახალი ტიპის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. დამტკიცდა ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო და სხვა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მასწავლებლის პროფესიის მარეგულირებელ წესებსა და დოკუმენტებში, შეიცვალა მასწავლებელთა ცოდნისა თუ კომპეტენციების შეფასების ინსტრუმენტები, ესგ, და მის შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა და ა. შ. თუმცა შედეგი

კვლავ არაჯანსაღია. ღირსეული, მაღალპროფესიონალი კადრის გვერდით კვლავ ვხვდებით სისტემაში მასწავლებლებს, რომელთაც უჭირთ საგნობრივი კომპეტენციების თუნდაც მინიმალური ქულით დადასტურება, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების დაუფლებაზე. (2020 წლის მასწავლებლობის მსურველთა გამოცდაზე 10 440 აპლიკანტი გავიდა, საიდანაც გამოცდის ზღვარი 7706-მა აპლიკანტმა ვერ გადალახა.) წლებია (2011 წლიდან) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ყველა საფეხურზე ინერგება შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, ახალი ტექნოლოგიები, მიდგომები და ა. შ. თუმცა, ამ მიმართულებით საერთაშორისო თუ ადგილობრივი მასშტაბით არაერთგზის ჩატარებული კვლევების შედეგები კვლავ არასახარბიელოა. სამწუხარო რეალობაა, რომ მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს კიდევ არ აქვს გათავისებული ის პასუხისმგებლობა, რასაც სახელმწიფო აკისრებს მათ პროფესიულ საქმიანობაში. მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმებისა, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა კვლავ განიცდის პროფესიონალი კადრის დეფიციტს. ამიტომ, ვფიქრობთ, აქ მთავარი აქცენტები უნდა გაკეთდეს უნივერსიტეტებსა და სკოლასთან მჭიდრო ურთიერთკავშირზე. ჩვენთვის მეტად საყურადღებოა აქცენტი გაკეთდეს, რა კადრი მოდის ამ პროგრამებზე აბიტურიენტთა სახით? აქვთ მათ ბოლომდე გათავისებული არჩეული პროფესიის მნიშვნელობა, პასუხისმგებლობა“ ან გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა? მიგვაჩნია, რომ აბიტურიენტის მიერ მიღებული ეროვნული გამოცდების დადებითი შედეგები და ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა არ ნიშნავს, რომ იგი აუცილებლად იმსახურებს მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლას. შესაძლოა ეს მომავლის საკითხიცაა, მაგრამ არსებული რეალობა გვარწმუნებს აუცილებლობაში, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე შემომსვლელთათვის, ან უკვე ამ პროგრამების სტუდენტთათვის დაიდოს რაიმე დამატებითი მოთხოვნა, რითაც მოხდება კურსდამთავრებულთა ერთგვარი ,,გადახალისება“: მაგალითად, მასწავლებლობის უფლება მიეცეს პროგრამის მხოლოდ იმ კურსდამთავრებულს, რომელსაც დაძლეული ექნება გარკვეული ბარიერი და დაკმაყოფილებული ექნება კონკრეტული მოთხოვნები უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, (რაც წინაპირობად უნდა ჩაიდოს ყველა პროგრამაში). ეს გაზრდის სტუდენტთა პასუხისმგებლობას და აამაღლებს ობიექტურად თვითშეფასების უნარებს. რატომ თვითშეფასების უნარები? იმიტომ, რომ უმრავლეს შემთხვევაში აბიტურიენტი სწორად ვერ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძვლად მიიჩნევს მხოლოდ ეროვნული გამოცდების ზღვრის გადალახვას, ან საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისთვის სასწავლო კურსებში დადებით შეფასებას თუნდაც მინიმალური ქულით. იგი ვერ ითავისებს და ვერ აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რაც მასწავლებლისმომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე შემომსვლელსა თუ ამ პროგრამის სტუდენტს მოეთხოვება. სტუდენტმა უნდა იცოდეს, რომ მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად, მხოლოდ დადებითი შეფასებების მიღება არ კმარა და საჭიროა გარკვეული ზღვრის გადალახვა და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილება, რაც მას მისცემს მასწავლებლის პროფესიაში შესვლის უფლებას. ცხადია ეს არ გულისხმობს მათ დისკრიმინაციას. პირიქით, ასეთი მიდგომით სტუდენტი სწორად გაიაზრებს რა საკუთარ შესაძლებლობებს, გაითავისებს რამხელა პასუხიმგებლობის წინაშე დადგა პროფესიის არჩევანის გაკეთებისას, ამაღლდება მისი პასუხისმგებლობა და სწავლის მოტივაციაც.

როდესაც განხილვის საგანია მასწავლებელთა პროფესიონალიზმი და მათი საქმიანობა, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა კადრს ვუშვებთ უნივერსიტეტებიდან, გააჩნიათ კი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს ის კომპეტენციები და ცოდნა, რომ ღირსეულად განახორციელონ პროფესიული საქმიანობა? ცხადია ერთმნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ყოველთვის საჭიროებს სერიოზულ დაფიქრებას და ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარებას არა მარტო უნივერსიტეტის მასშტაბით.

ყველა ეს აქტუალური საკითხი, მასწავლებელთა მომზადება უნივერსიტეტებში და მოქმედ მასწავლებელთა პროფესიონალიზმი, თავს იყრის ერთ მთლიან რგოლში, სადაც ამოსავალი წერტილი არის მოსწავლე, მისი სწავლა, განათლება, აღზრდა და მისთვის ნათელი მომავლის უზრუნველყოფა. ამიტომ, სკოლასა და უნივერსიტეტებს შორის ურთიერთკავშირები და სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული მთლიანი პროცესი ,,მოსწავლე-მასწავლებელი-სტუდენტი“ ამ სამკუთხედში განიხილება და სწორად უნდა იქნეს გააზრებული, დაგეგმილი და განხორციელებული. ბავშვთა განათლების საკითხები სამივე რაკურსიდან უნდა იქნეს გააზრებული და გათვალისწინებული, რითაც უზრუნველვყოფთ შესაბამის შედეგებს. როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ამ პროცესს? ერთ-ერთ სწორ სტრატეგიად მივიჩნევთ სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას სხვადასხვა მიმართულებით. მართალია მასწავლებლის მომზადების ახალი ტიპის ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამებში სასკოლო პრაქტიკის კომპონენტის გაზრდამ და გაძლიერებამ ამის პერსპექტივები აამაღლა, მაგრამ ვფიქრობთ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა ერთობლივი ქმედითი ღონისძიებების, აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, რომელიც უწყვეტ პროცესად განხორციელდება და ექნება პერმანენტული ხასიათი. შედეგიანი იქნება მასწავლებლობის პროფესიის მსურველი მოსწავლეთათვის იმ მოთხოვნების გაცნობა და მათთვის მისაღები ფორმით მიწვდა, რასაც მომავალი მასწავლებლის მომზადების საკითხებში აყენებს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამა და ეს უკვე უნივერსიტეტის პრეროგატივად გვესახება. ინფორმაციის მიწვდასთან ერთად შედეგიანი იქნება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა მოსაზრებების გაცნობა, თუ რა ხიბლი აქვს მასწავლებლობას, რა ცოდნა და უნარებია საჭირო ამ პროფესიის დაუფლებისთვის, ან რა სირთულეები დახვდათ მათ სწავლის პროცესში მომავალი პროფესიის დაუფლების პროცესში, და ა. შ. სტუდენტთა აქტიური ჩართვა ამგვარ აქტივობებში დადებითად აისახება სკოლისა და უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობაზე და დაეხმარება მოსწავლეებს სწორი არჩევანის გაკეთებაში, სტუდენტს, კი მომავალი პროფესიის უკეთ გაცნობაში. სკოლის ცხოვრებაში ამგვარი ,,თანამონაწილეობის“ მიზნით მას უნდა ქონდეს სკოლასთან ურთიერთობის დიდი სივრცე და ეს არ უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ სასკოლო პრაქტიკას. ამიტომ, გარდა სასკოლო პრქტიკისა, სტუდენტთათვის უნდა გამოიყოს გარკვეული საათები, რომელც მას დაავალდებულებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრებაში ცხადია გარკვეული დროის და არეალის განსაზღვრით. სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ მოსწავლეებთან ერთად მოიაზროს და განახორციელოს სხვადასხვა პროექტები, აქტივობები. ერთობლივი იდეებით დაგეგმოს კლასგარეშე ღონისძიებები, შექმნას, მოიფიქროს სასწავლო რესურსები სხვადასხვა საგანში და ა. შ. მოსწავლეებთან თუ მასწავლებლებთან ერთად. ბუნებრივია, ამის შესაძლებლობები უნდა მისცეს როგორც უნივერსიტეტმა, ისე სკოლამ, რაც საჭიროებს მათი რეალურ დეცენტრალიზაციას,

რადგან წლების განმავლობაში სკოლის ავტონომიას მნიშვნელოვნად ზღუდავდა განათლების მინისტრის #837-ე ბრძანება. რომლის თანახმადაც ამ ტიპის აქტივობები სკოლებში მხოლოდ განათლების სამინისტროს თანხმობით ტარდებოდა. ცხადია, საჯარო სკოლის გაძლიერება ვერ მოხდება სახელმწიფო რეგულაციების ხარჯზე. ამიტომ, აქცენტები უნდა გაკეთდეს სკოლისა და უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობის იმ ძირითად მიმართულებებზე, რაც ხელს შეუწყობს ორმხრივად ამ ინსტიტუციების გაძლიერებას (სამეცნიერი-კვლევითი თუ საგანმანათლებლო, სპორტული, სხვადასხვა შემეცნებითი ხ

ასიათის და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები). მაგალითად, უნივერსიტეტისთვის ძლიერი რესურსია წარმატებული, მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტები, რომელთაც აქვთ პროფესიის დაუფლების დიდი მოტივაცია, შესაბამისი უნარები თუ ცოდნა, მათი საშუალებით შეგვიძლია შევქმნათ მობილური ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა სკოლებში განახორციელებენ საინტერესო და ქმედით აქტივობებს, რაშიც ჩართავენ ინიციატივიან, აქტიურ, კვლევა-ძიებით და ცოდნის შეძენით დაინტერესებულ მოსწავლეებს. ეს დანარჩენთათვის იქნება დიდი სტიმული და მაგალითის მიმცემი. ღირებულია სასწავლო რესურსის შექმნაც, რომელიც შესაძლოა ერთობლივად იქნას მოძიებული/მოფიქრებული მოსწავლის, სტუდენტის, მასწავლებლის მიერ, ასევე ერთობლივად შეფასდებული და დახვეწილი სხვადასხვა კრიტერიუმებით (არის თუ არა ეს რესურსი საინტერესო?, გამოიწვევს თუ არა მოსწავლეთა დაინტერესებას?, შეუწყობს თუ არა მისი გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნის გააქტიურებას, კონსტრუირებას?, არის თუ არა ადვილად გამოყენებადი საშუალება? და ა. შ.) ღირებულია შიდასასკოლო თუ სკოლათაშორისი კონკურსების მოწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება საუკეთესო სასწავლო რესურსი, შეირჩევა მათგან ინოვაციური, ორიგინალური და ა. შ. რომელიც ერთობლივი შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული. ეს ხალისს და სტიმულს შეძენს როგორც მოსწავლეებს, ისე სტუდენტებს.

საინტერესოდ გვესახება კვლევების ჩატარება სკოლებში, რითაც გამოიკვეთება მოსწავლეთათვის საინტერესო თემატიკა, მოსწავლეთა საჭიროებები, სკოლაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები და სხვა, სკოლის პედაგოგთა ჩართულობით ამ საკითხებზე სტუდენტთა თუ პროფესორთა მიერ ერთგვარი ,,ლექციების“ ან/და,,მრგვალი მაგიდის“ პრინციპით შეხვედრების ჩატარება, შერჩეულ თემებზე მსჯელობა, სიახლეების გაცნობა, ახალი პესრსპექტივების დასახვა და ა.შ. ამგვარი თანამშრომლობა ერთმანეთისთვის ღირებული ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას იძლევა და მას აუცილებლად ახლავს პოზიტიური შედეგებიც: მოსწავლეები იძენენ სასკოლო პრობლემების იდენტიფიცირების, თუ კვლევის ელემენტარულ უნარებს, იფართოებენ ცოდნის არეალს, სტუდენტები კი, უკეთ გამოავლენენ მათი ინტერესის სფეროს თუ სკოლაში არსებულ საჭიროებებს, მოსწავლეებთან ერთად მოიძიებენ პრობლემების გადაჭრის გზებს, რაც მათ, როგორც მომავალ პედაგოგებს აძლევთ ღირებულ პროფესიულ გამოცდილებას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით. გამორჩეულად უნდა აღვნიშნოთ მასწავლებელთა აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-შექმნა-განხორციელება-შეფასების პროცესსა თუ პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებაში.

ამდენად, სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით მრავალი საინტერესო გზების მოძიება შეიძლება, რომელიც წაადგება როგორც უნივერსიტეტის საქმიანობას, სტუდენტთა პროფესიულ მომზადებას, ისე სკოლის საქმიანობას, მოსწავლეთა გააქტიურებას, მასწავლებლთა პროფესიონალიზმის გაზრდას და ამ ერთიან საქმიანობაში სათანადო შედეგების მიღებას, რაც უპირველესად აისახება მოსწავლეთა ინტერესისა და მოტივაციის გაზრდაში სწავლისადმი. როგორც სკოლას, ისე უნივერსიტეტს ეს ურთიერთთანამშრომლობა აძლიერებს, ამიტომ მოსწავლეთა მომზადების, მასწავლებელთა პროფესიონალიზმის თუ სტუდენტთა მზაობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შეფასებისას თუ ნაკლოვანებების გამოვლენისას, ნაცვლად ,,დამნაშავის" მოძიებისა, უნდა ვიზრუნოთ ამ თანამშრომლობის გაძლიერებაზე და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაზე. ინოვაციური იდეები უნდა მოდიოდეს ორივე მხრიდან, რაც დადებით და ქმედით ასახვას პოვებს ორივე ინსტიტუციის გაძლიერებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მირიან ყენია, დარეჯან დალბაშვილი, რუსუდან ხოშარაული, როგორ გავაუმჯობესოთ მზაობა უნივერსიტეტში სწავლისათვის, GESJ: Education Science and Psychology 2017 | No.1(43)
2. University and school district collaborations. Working Together to Meet the Needs of Teachers and Students 04/11/2014 | By Heather-Lee M. Baron, Ph. D. and Stacie M. Wolbert, D. Ed. Higher Education https://www.seenmagazine.us/Articles/Article-Detail/articleid/3813/university-and-school-district-collaborations
3. A University and School Working in Partnership to Develop Professional Practice Knowledge for Teaching, Sarah Gravett, Nadine Petersen and Sarita Ramsaroop ORIGINAL RESEARCH ARTICLE Front. Educ., 23 January 2019 | https://doi.org/10.3389/feduc.2018.00118 https://www.frontiersin.org/articles/10.3389/feduc.2018.00118/full

რეზიუმე:

სტატიაში სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განხილულია რამოდენიმე ჭრილში:

- რა დონის ცოდნით მოდის აბიტურიენტი უნივერსიტეტში?
- რა ცოდნასა და კომპეტენციებს ფლობს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული?
- ძირითადად რა სახით ხორციელდება სკოლისა და უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა?
- რა პერსპექტივები არსებობს ამ ურთიერთთანამშრომლობის გასაძლიერებლად?

აქცენტები გაკეთებულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში სკოლების და სასკოლო ცხოვრებაში უნივერსიტეტის ჩართულობის მნიშვნელობაზე. განხილულია პერსპეტივები, რაც შესაძლოა განხორციელდეს სკოლა-უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის საქმეში და რაც დადებითად აისახება ორივე ინსტიტუციის განვითარებაზე.

სტატია ამ მხრივ ერთგვარ სარეკომანდაციო-მეთოდურ ხასიათს ატარებს.

Summary:

The article deals with the School and University cooperation issues that are discussed in several sections:

- what level of knowledge does the university entrant have?
- what knowledge and competences does the Teacher Training Educational Program graduate have?
- what form does the cooperation between school and university mainly have?
- what prospects do we have for the reinforcement of the cooperation?

The importance of involving schools in the implementation of Teacher Training Educational Program and involving university in school life are emphasized in the article. The prospects which might be fulfilled in the matter of school-university cooperation and that will have a positive impact on the development of both institutions are also discussed here. The article represents a kind of recommendatory-methodological one in that regard.